დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის სჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: გოჩა შუბითიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ნათია ღოღობერიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

თეა მათითაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ელენეკურდღელია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ქეთევან ბერიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

თამარ ხოსროშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ნანა ჩავლეშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ინო თედიაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

თამარ მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244970661

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხონის მუნიციპალიტეტი სოფელი გორდი
ფაქტობრივი მისამართი	ხონის მუნიციპალიტეტის სოფელი გორდი
საფოსტო ინდექსი	5900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	gordi@emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577947106

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება 08/05/2025 MES 5 25 0000503177 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	16 - 17 ივნისი 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	ხონის მუნიციპალიტეტის სოფელი გორდი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	ხონის მუნიციპალიტეტის სოფელი გორდი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	ხონის მუნიციპალიტეტის სოფელი გორდი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 16 და17 ივნისს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება 08/05/2025 MES 5 25 0000503177 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ საფუძველზე აღნიშნულ სკოლაში შედგა საავტორიზაციო ვიზიტი. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების თვითშეფასების ფორმა და თანდართული დოკუმენტაცია. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა, ჩატარდა გასაუბრებები სკოლის დირექციასთან და პერსონალთან. საგნობრივმა ექსპერტებმა პედაგოგებთან ინტერვიუები წარმართეს დისტანციურ ფორმატში. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ზგთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია,* *უზრუნველყოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განახლება 07.07.2027 მდე* უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმება 07.07.2027 მდე.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური	*სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი*

	უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს	*სკოლას მიეცა რჩევა უსაფრთხო ფსიქოლოგიური და ემოციური გარემოს უზრუნველყოფა გაწეროს დოკუმენტურად*

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *დაწყებითი, საბაზო, საშუალო*	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	სასურველია, ინგლისური ენის კურიკულუმის ჩარჩოს გრაფაში - "თემა" მითითება მოხდეს უშუალოდ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემებისა და არა მხოლოდ სახელმძღვანელოს თავებისა. აღნიშნული რჩევა ეხება, ასევე, რუსული ენის კურიკულუმს.
ინდიკატორი N.2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	სასურველია გადაიხედოს ყველა კლასის კურიკულუმი და მოხდეს კონტექსტური მაგალითებისა და დავალების იდეის სვეტების შესაბამისობაში მოყვანა.
ინდიკატორი N.2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*სასურველია კურიკულუმში მოსწავლეთა ფიზიკური თვისებების განვითარებისა და სპორტულ აქტივობებში ჩართულობის მიზნით გაიზარდოს თემების, სპორტის სახეობების რაოდენობა.*
ინდიკატორი N.2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	სასურველია ისგ გაუმჯობესდეს. მასში სრულად აისახოს ყველა დაგეგმილი თემატური ერთეული რომელიც ესგ-ით არის განსაზღვრული. თითოეული თემის სწავლება უნდა ეფუძნებოდეს ესგ-ის მიერ დადგენილ საგნობრივ მიზნებს. ამის შემდეგ დეტალურად გაიწეროს მიზნის მისაღწევად გადასადგმელი კონკრეტული, გაზომვადი და მიღწევადი ნაბიჯები, ეს მიდგომა ხელს უწყობს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იყოს არა მხოლოდ მოსწავლის საჭიროებებზე

		მორგებული, არამედ სრულად ინტეგრირებული ესგ-ს მათემატიკის სტანდარტებთან.
ინდიკატორი N.2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების ბუნებისმეტყველების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში უმჯობესია, სრულად აისახოს ყველა დაგეგმილი თემის სწავლება შესაბამისი საგნობრივი მიზნების გათვალისწინებით. ასევე, დეტალურად იქნეს გაწერილი მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები.
ინდიკატორი N.2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	შეფასების ინსტრუმენტები კიდევ უფრო ინტეგრირებული რომ იყოს სასწავლო პროცესში სასურველია, მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას . ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. ეს ხელს შეუწყობს, არა მხოლოდ შეფასება, არამედ მთელი სწავლება იყოს მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული.
ინდიკატორი N.2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრუ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად; განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სამიზნე ცნება/ქვეცნება, ძირითადი საკითხი თანხვედრაში მოდიოდეს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრულ სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან, ძირითად საკითხთან (ერთი და იგივე კონტექსტ - მაგალითის შემთხვევაში), ამავდროულად,

		განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაწერილი იყოს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილების მიხედვით დაგეგმილი ყველა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების მიმართ.
ინდიკატორი N.2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალ სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	სასურველია შეფასების სისტემის სანდოობისა და ვალიდურობის ობიექტურობის სამართლიანობისა და გამჭირვალობის კიდევ უფრო გაღრმავება სასწავლო პროცესში. ინტენსიურად გამოიყენეთ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, ხელი შეუწყვეთ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, რათა მოსწავლეებმა თავად შეძლონ საკუთარი და თანატოლების პროგრესის ანალიზი, გაუძლიერდეთ მეტაკოგნიტურ უნარები და სწავლისადმი პასუხისმგებლობა.
ინდიკატორი N.2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	სასწავლო რესურსებად გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი, უმჯობესია გამოყენებული იქნას ასევე ელექტონული და ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოები სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
ინდიკატორი N.2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლ შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამ მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილებ ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	შეძლებისდაგვარად შეივსოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია საჭირო დანადგარებით, ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით,

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შედეგად მესამე სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაში აქცენტი გაკეთებულია თანამედროვე მიდგომებით ჩამოაყალიბოს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიმღები, პასუხისმგებლობით სავსე ჯანსაღი მომავალი თაობა, რათა კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდეთ ცხოვრებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარები და შეძლონ სოციუმში ორიენტაცია. სკოლის ძირითადი ღირებულებებია სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, გუნდურობა და თანამშრომლობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიაში აქცენტი კეთდება მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და მათთვის უნარების განვითარებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მათ დამოუკიდებლობასა და ადაპტაციის უნარს. სკოლის ერთერთი სტრარეგიული მიმართულებაა უსაფრთხო, ორგანიზებული და ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფა. ასევე სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც, სკოლის მოსაზრებით, დაწესებულებას გარდაქმნის თემში მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერად. შესაბამისად სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს,როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატრის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. თავდაპირველად განისაზღვრა სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფი. ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და მშობელთა გამოკითხვა. სკოლამ წარმოადგინა პედაგოიური საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია მისია, ხედვა და ღირებულებები.საკოლო სასწავლო გეგმა, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს მისია ხედვა და ღირებულებები, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, სადაც წარმოდგენილი არიან მშობელთა და მოსწავლეთა წარმომადგენლები. წარმოდგენილია მშობელთა კრებების ოქმები, რომლებშიდაც დასტურდება მისია ხედვა ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა. აღნიშნული პროცესები გაწერილია სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შემუშავების პროცესში დასტურდება სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა. დოკუმენტი გაზიარებულია და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოსთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში, ხოლო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სკოლის ვებ-გვერდზე (http://skolebi.emis.ge), და სკოლის შენობაში განთავსებით. აგრეთვე, სოციალურ ქსელში არსებული საკომუნიკაციო ჯგუფებში დოკუმენტის გავრცელებით. https://www.facebook.com/share/1BmtZFfpH4/

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

   სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა სსიპ- ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლა

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბრძანება სამუშაო ჯგუფის შესახებ
პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
მშობელთა კრების ოქმი
სასკოლო სასწავლო გეგმა
სკოლის გვერდი ვებ გვერდზე https://skolebi.emis.ge
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 15/09/2005

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტი სახელწოდებით სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 2. სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპები

მუხლი 3. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პირები

მუხლი 4. სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურა და ძირითადი მოთხოვნები

მუხლი 5. სამოქმედო გეგმის სტრუქტურა და ძირითადი მოთხოვნები

მუხლი 6. მონიტორინგი და შეფასება

მეთოდოლოგია მკაფიოდ განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. გეგმა არის ციკლური, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. დოკუმენტის შესწავლისა და დირექციასთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს, მასში განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

. ❖ სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;

❖ ადამიანური რესურსის განვითარება;

❖ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

❖ უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;

❖ სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;

❖ მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;

❖ ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული მიმართულება ჩაშლილია მიზნებად და მიზნები ამოცანებად. აღსანიშნავია, რომ ამოცანები გაწერილია სკოლის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**
   სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის შემუშავებულია 2024-2025 სასწავლო წლისათვის და ითვალისწინებს შვიდწლიანი გეგმის მიზნებსა და ამოცანებს. სამოქმედო გეგმის შექმნის პროცესში სკოლა დაეყდნო თვითშეფასებას. სკოლის დირექციასთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლა ყოველი წლის ბოლოს სწავლობს განვლილ გამოცდილებას, ახორციიელებს თვითშეფასებას და ამის გათვლისწინებით გეგმავს მომავალ სასწავლო წელს.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია ცხრილის სახით. მასში განსაზღვრულია: სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური

ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. გეგმა შეგება 6 თავისაგან:

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება
2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება
3. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა
4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა
5. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება
6. ორგანიზაციული განვითარება

სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. სკოლის აზრით სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიზნები სამოქმედოში გათვალისწინებულია პრიორიტეტების გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლის დაგეგმვის მეთოდოლოგია

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა

პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნული გაწერილია დოკუმენტის მეექვსე მუხლში, სადაც საუბარია მონიტორინგისა და შეფასების მიზნებზე,მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ფორმებზე, როგოგორ და რა ფორმით უნდა მოხდეს შედეგებზე რეაგირება,

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს მათ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით. სტრატეგიული განვითარების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, თუ რამდენად ხორციელდება სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. სტრატეგიული განვითარების მონიტორინგისა და შეფასების შედეგები განიხილება პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს სხომებზე, რითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და უკუკავშირის გათვალისწინება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

   სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სტატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს ატარებს გეგმებში მითითებული სტრუქტურული ერთეული. გეგმის განხორციელების შედეგების შეფასება ხდება სტრუქტურული ერთეულების მიერ. სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენის საშუალებებად მიჩნეულია პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრების სხდომები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

   სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები განიხილება სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. დამსწრე საზოგადოების აზრის მოსმენის შემდეგ კი ისახება პროცესების შემდგომი განვითარების ხელშემწყობი აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
სამეურვეო საბჭოს სხომის ოქმები
პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**
   სკოლაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად. სკოლაში მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ეფექტურად განხორციელებისათვის საშტატო განრიგის საფუძველზე დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, სპეციალური მასწავლებელი, სსსმ ასისტენტი, ცეცხლფარეში, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლის მიხედვით დადგენილია მათი ფუნქცია - მოვალეობები. მასწავლებლებთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა და ასევე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლაში დასაქმებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიო და დეტალურია, შესაბამისად, სკოლაში დასაქმებული თანამშრომლები აცნობიერებენ, როგორ აისახება მათი საქმიანობა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის სტრუქტურული ერთეულები - პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის ამსახველი ოქმები, ასევე, სკოლაში დამკვიდრებული ანგარიშვალდებულების სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას თვალი ადევნოს მათ საქმიანობას და საჭიროებისამებრ, უზრუნველყოს პროცესების მართვა/კორექტირება. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებითაც დასტურდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

სტრატეგიული გეგმა

სამოქმედო გეგმა

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

საშტატო განრიგი

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სასკოლო პროცესების ხარისხის მართვის მექანიზმებს. განსაზღვრავს, თუ როგორ ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვა. პერსონალის მართვის მარეგულირებელი ერთ-ერთი დოკუმენტია სკოლის შინაგანაწესი. შინაგანაწესით განსაზღვრულია პერსონალის ქცევის მარეგულირებელი წესები, კერძოდ სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, სამუშაო დროის აღრიცხვა, სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, სკოლის თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების გაცემის საკითხები და პირობები: გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო, შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული სხვა საკითხები. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლაში პედაგოგის მიღება ხდება კონკურსის წესით. გათვალისწინებულია შიდა კონკურსი და ვაკანსიის ვერ შევსების შემთხვევაში ღია კონკურსის გამოცხადება. განსაზღვრულია კონკურსის დროს ინფორმაციის განთავსების წესი/პირობები. ასევე კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. ვაკანსია განთავსებულია შესაბამის ვებგვერდზე და საჯაროა. სკოლამ წარმოადგინა მის მიერ გავლილი პროცედურა ერთ-ერთი მასწავლებლის მიღების დროს. სკოლას აქვს დამტკიცებული ადმიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად პოლიტიკას. პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას. მასში მოცემულია პოლიტიკის ამოცანები, ღირებულებები, აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის ციკლი. როგორ უნდა მოხდეს კადრების მოზიდვა და შერჩევა. შიდა და ღია კონკურსების განხოციელების პირობაბზე. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციაზე, შესრულებული სამუშაოს შეფასებაზე.

სკოლის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ ცნობები ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ,

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში მიმდინარეობს თანამშორომელთა მუშაობაზე დაკვირვება და საჭიროებების გამოვლენა. სკოლაში მოქმედებს ადმიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი. სკოლის დირექცია საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფს პერსონალის მხარდაჭერას. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება სკოლის კონკრეტულ სჭიროებებს და მიზნად ისახავს დროულ რეაგირებას გამოწვევებზე. დოკუმენტში საუბარია შიდა მონიტორინგსა და შეფასებაზე. თანამშრომელთა თვითშფასებასა და უკუკავშირზე. პრევენციულ განვითარებასა და ტრენინგებზე. მოქმედების გეგმის ჩამოყალიბებასა და ინტერვენციაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ობიექტურობის და გამჭირვალობის პრინციპების გათვალისწინებთ, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს ჩატარებული კონკურსების ამსახველი დოკუმენტაციის

განხილვისას. სკოლის განმარტებით, პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს გამჭვირვალობას, ობიექტურობას, კანონმდებლობის სრულ დაცვას. მასწავლებლების შერჩევა ხდება მოქმედი კანომდებლობის მოთხოვნების დაცვით. სკოლაში ვაკანტური თანამდებობის არსებობის შემთხვევაში ცხადდება ვაკანსია და იდება შესაბამის ვებ-გვერდზე (teachers,gov.ge) საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად. დარეგისტრირებული კანდიდატების შერჩევა ხდება კანონმდებლობის შესაბამისად. პირველ ეტაპზე იქმნება კომისია სასკოლო საზოგადოების წევრების შემადგენლობით. კომისია განიხილავს კანდიდატთა დოკუმენტაციას და ირჩევს იმ კანდიდატებს, რომლებიც შეესაბამებიან საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. გამოქვეყნებულია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მისი ნახვა შეუძლია ნებისმიერ პირს. შემდგომ ეტაპზე კანდიდატები გადიან გასაუბრებას და კოლექტივის ახალ წევრს კომისია ირჩევს ხმათა უმრავლესობით. გათვალისწინებულია გასაჩივრების წესი და პროცედურები. ამის შემდეგ მასთან ფორმდება ხელშეკრულება გარკვეული ვადით და პირობებით.

დირექტორის განცხადებით პერსონალის კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოცემულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სკოლაში დასაქმებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში. ვიზიტის დროს teachers.jobs.ge-ზე ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსის განაცხადი, რომლითაც დადასტურდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლებით დაცულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს (სკოლაში თანამშრომლის მიღებისთანავე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც თავმოყრილია დოკუმენტაცია აღნიშნული თანამშრომლის პირადი მონაცემების, განათლების და გამოცდილების შესახებ). როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. პირად საქმეში იდო შემდეგი დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობის ასლი, დიპლომის ასლი, მასწავლებლის სერტიფიკატი, სერთიფიკატები გავლილი ტრენინგების შესახებ, CV, კადრების აღრიცხვის ფურცელი. პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო ცნობები ნასამართლობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული

დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ასევე, ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ (2020 წლის შემდეგ დასაქმებული თანამშრომლების შემთხვევაში). მონაცემები პირადი საქმის გარდა ასახულია eschool-ის ბაზაში. ხელშეკრულებები გაფორმებულია სტატუსების მიხედვით. სკოლას აქვს შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა ექთნის პირადი საქმე. ექთანთან გაფორმებულია ხელშეკრულება. ექთნის კვალიფიკაცია და პირადი საქმე შეესაბამება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებას (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლის ადმინისტრაცია განმარტავს, რომ სკოლაში აღიარებულია გუნდური მუშაობის პრინციპები, მკვიდრდება თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც დაფუძნებულია პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე, მიღწევების აღიარებაზე. პედსაბჭოზე, კათედრებზე, თვითმმართველობის სხდომებზე, მშობელთა კრებებზე ხდება ინიციატივების, წინადადებების, საჭიროებების განხილვა. სკოლაში კათედრები და ადმინისტრაცია მასწავლებელთა საჭიროებების მიხედვით გეგმავს და ახორციელებს პროფესიული განვითარების ღონისძიებებს. სკოლის ყველა თანამშრომელს გაზიარებული აქვს გუნდური მუშაობის მნიშვნელობა. წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში მონაწილეობენ მასწავლებლები. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა დასტურდება სკოლაში მოქმედი მმართველობითი კოლეგიური ორგანოს პედსაბჭოს მასალებით. მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს პედაგოგიური საბჭოს ოქმი. ოქმიდან

ჩანს მასწავლებლების ჩართულობა ისეთი სასკოლო საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა, კათედრის თავმჯდომარეების არჩევა-დამტკიცება, კლასის დამრიგებლების შერჩევა-დამტკიცება, ავტორიზაციისათვის მოსამზადებელი სამუშაოების განხილვა და სხვა. პედსაბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. ოქმში მოცემულია საბჭოს სხდომაში მონაწილე პირთა ნუსხა და კენჭისყრის შედეგები ცალკეულ საკითხებზე, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება, ასევე დისციპლინურ კომიტეტში მასწავლებელთა წარმომადგენლის არჩევის საკითხი. გარდა ამისა, მონაწილეობა და გუნდურობა დასტურდება სკოლაში მოქმედი სამეურვეო საბჭოს წარმოდგენილი ოქმებით. სადაც განხილულია საკითხები: სასკოლო საწავლო გეგმის განხილვა შესათანხებლად, სკოლის შინაგანაწესის დამტკიცება, მოსწავლეთა თვითმმართველობის თარიღის დადგენა. საკითხები გადაწყვეტილია ხმათა უმრავლესობით. ასევე დისციპლინური კომიტეტის არჩევა რაც შეესაბამება ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის (სამეურვეო საბჭოს ფუნქციები) პირველი პუქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამეურვეო საბჭოს მიერ დისციპლინური კომიტეტის არჩევას. ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომლის სხდომის დღის წესრიგი ითვალისწინებს სკოლის დირექტორის წლიურ ანგარიშს, ბიუჯეტის დამტკიცებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულ პირთა წახალისების სახეები და გამოყენების წესი. დაზუსტებულია წახალისების პირობები და ფორმები. კათედრებზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ხდება წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და აღიარება. სკოლამ წრმოადგინა წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი

შრომითი ხელშეკრულებები

პერსონალის დანიშვნის ამსახველი დოკუმენტაცია

პერსონალის პირადი საქმეები

teachers.jobs.ge

სკოლის სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს სდომების ოქმები

პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

ადმიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,

ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი.

წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტები, რომელშიც მოცემულია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. ამ მიმართულებით არის ჩანაწერები ერთწლიან სამოქმედო გეგმაში: თავი 2 ადამიანური რესურსის განვითარება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გათვალისწინებულია სკოლაში დასაქმებული პირების შეფასება და აგრეთვე, პროფესიული განვითარების მექანიზმები. ამ მიმართულებით არის ჩანაწერი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში: თავი 2 ადამიანური რესურსების განვითარება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლის პედაგოგები რეგულარულად ესწრებიან სქემის ფარგლებში, სტატუსის შესაბამისად, მათთვის განკუთვნილ ტრენინგებს, რასაც ადასტურებს მასწავლებლის სახლის მიერ გაცემული შესაბამისი სერტიფიკატები. სკოლა უზრუნველყოფს პედაგოგებს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო სივრცითა და მატერიალურ ტექნიკური რესურსით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

   სკოლაში შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო თანამშრომლების სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით. სკოლა ეხმარება ახალ თანამშრომელს თავი იგრძნოს ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად. აცნობს სკოლის შინაგანაწესს. წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას. აცნობს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. ახალი წევრი ერთვება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ აქტივობებში. ახალ თანამშრომელთან ასეთი დამოკიდებულება ხელს უწყობს მათ ადაპტირებას და ძალიან მალე სკოლის გუნდის წევრად გახდომას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

   ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. სკოლის განმარტებით ინიციატივები მოდის საგნობრივი კათედრებიდან, სკოლის თვითმმართველობიდან, შესაძლოა ინიციტივა წამოვიდეს რომელიმე კონკრეტული თანამშრომლიდან. წინადადებები განიხილება დირექციის მიერ, პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოზე და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

•დასაქმებულთა პირადი საქმეები

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისდოკუმენტი

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი,

თანამშრომელთა ინტეგრაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. საქმიანობა ითვალისწინებს ციკლს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. სკოლა უწყვეტად გადის დაგეგმვის, დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების, რევიზიის ეტაპებს. ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და შიდა რეგულაციებით. სკოლაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. აღნიშნული პროცესები გაწერილია დოკუმენტში - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. სკოლაში დამტკიცდა პროცესების აღმწერი შიდა მარეგულირებელი აქტები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მათ შორისაა ბრძანებები გასაჩივრების პროცედურების დამტკიცების შესახებ, ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შეხებ, მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მოსწავლეთა ჩარიცხვის და ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების წესი, ტრანზიციის მექანიზმის დამტკიცება, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, საზოგადოებრივი ურთიერთობისა და კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, საქმისწარმოების წესი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

მოქმედებს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი. სკოლაში მოქმედებს „გასაჩივრების პროცედურები“. დოკუმენტი დამტკიცებულია და განსაზღვრავს განცხადებისა და საჩივრის განხილვის პრინციპებს, წარდგენის წესს, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესებსა და ვადებს. განხილვაზე უფლებამოსილია შესაბამისი პირი/სტრუქტურული ერთეული/კომისია, რომლის კომპეტენციასაც მიეკუთვნება საჩივარზე პასუხის გაცემა. ამავე დოკუმენტით რეგულირდება დირექტორის/დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოში, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული

კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი, თანამშრომელთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრების განხილვის წესი. ამ წესის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მოსწავლეს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს დამოუკიდებლად ან მშობელთან ერთად, ხოლო თუ პრეტენზია არის დირექტორის მიმართ საჩივარი წარედგინება სამეურვეო საბჭოს. უფლების დარღვევის შესახებ საჩივრის განხილვის ვადად განსაზღვრულია ორი კვირა. დირექტორის გადაწყვეტილება და მისი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში. ამავე წესით განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლა ამ პროცესებს წარმართავს ზოგადი განათლების შესახებ კანონის, წესდების, მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. შექმნილია საჩივრების განხილვის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სისტემა მათ შორის დისციპლინური კომიტეტისა და სამეურვეო საბჭოს სახით. მოსწავლის, მშობლისა და პერსონალის უფლებები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებაში, მშობელთან დადებულ ხელშეკრულებაში, გასაჩივრების პროცედურებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, ბრძანებები და თანდარული დოკუმენტაცია
სკოლის გვერდი ვებ გვერდზე skolebi.emis.ge
გასაჩივრების პროცედურები
შინაგანაწესი
შრომითი ხელშეკრულებები
მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები
სასკოლო სასწავლო გეგმა
მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.
მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმი
ვერიფიკაციის მექანიზმი
მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმი
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
მოსწავლეთა ჩარიცხვის და ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების წესი
ტრანზიციის მექანიზმი
პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი
საზოგადოებრივი ურთიერთობისა და კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი
სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი
საქმისწარმოების წესი
სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია,

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

მართვის პროცესებთან დაკავშირებით შედგენილი ზოგიერთი დოკუმენტი საჯაროა. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუმიკაციის წესი. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება მშობელთა კრებებზე, აგრეთვე, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით (ჯგუფები სოციალურ ქსელში). გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან მართვის კოლეგიალურ ორგანოებში და უზრუნველყოფენ მათ შეუფერხებელ მუშაობას. როგორც ცნობილია, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. დისციპლინური კომიტეტიც, მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული. სკოლა უზრუნველყოფს მშობლების ჩართვას სხვადასხვა ღონისძიებებში: მაგ. სხვადასხვა სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიების და სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვა-მომზადებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები

პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები

მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი:
http://skolebi.emis.ge

ელ ჟურნალი

მშობელთა კრებების ოქმები

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების**

სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით. სკოლაში დასაქმებული დარაჯები, უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დაცვას. აქვს ვიდეოსათვალთვალო სისტემა. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექთანი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით უფლებამოსილი პირი. **არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა რომ სკოლის შენობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. აქვს მიწერილობა ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურითან.** არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლას აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა. სასურველია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.
გეგმით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები - საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განახლება და საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმება 07.07.2027 მდე.

ინდიკატორი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამიად

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას; სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექთანი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. დირექტორის N01-02 25/02/2019 ბრძანებით განსაზღვრულია სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით უფლებამოსილი პირი. სკოლას არ ყავს მანდატურები. სკოლაში დამონტაჟებულია 22 ვიდეოკამერა, რომელთაგან სკოლის გარე პერიმეტრის კონტროლს ახორციელებს 11 კამერა, ხოლო სკოლის შიგა პერიმეტრს აკონტროლებს 11 კამერა. ვიდეო სათვალთვალო სისტემით მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დერეფნებში, ხოლო ოთახებსა და სკოლის სველ წერტილებში კამერები დამონტაჟებული არაა. ვიდეო სათვალთვალო სისტემის ჩანაწერების ადმინისტრირებას სკოლაში ახორციელებს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა ზრუნავს არა მარტო ფიზიკური გარემოს უსაფრთხოებაზე, არამედ სასკოლო საზოგადოების ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებაზეც. დამრიგებლები და სკოლის დირექცია ცდილობენ გამოკვეთილ სირთულეებზე რეაგირებას და მოსწავლეთათვის მხარდაჭერის შეთავაზებას. ტარდება საუბრები ძალადობის, დისკრიმინაციისა და ბულინგის თემატიკაზე. სკოლის დირექტორის განმარტებით, კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა განვითარების თვისებურებების გათვალისწინებით. სკოლაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, რათა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას, სწავლების დიფერენცირებას. შეფასებები განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, სადაც მშობელსაც და მოსწავლესაც მიუწვდება ხელი და ადვილია ინფორმაციის მიღება. სკოლას მიეცა რჩევა აღნიშნული გაწეროს დოკუმენტურად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. გაფორმებულია ხელშეკრულებები დამლაგებლებთან. სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებენ მტუკი სკოლის ექთანი. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის დასაქმებულია 2 დამლაგებელი. ვიზიტის პერიოდში სკოლის სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა ზრუნავს პერსონალური მონაცემების დაცვაზე. შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. გამოყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ყავთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. ძირითადი მონაცემები ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (ESCHOOL) ამ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. საჭიროების შემთხვევაში, სასკოლო აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების გასაჯაროებამდე ხდება მშობელთა თანხმობის მოპოვება. როგორც დამრიგებლებს, ისე მასწავლებლებს დაკისრებული აქვთ მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების მკაცრად დაცვის ვალდებულება. სკოლის კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები და მატერიალური ჟურნალები ინახება სკოლის არქივში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. ყავს ინფორმაციის საჯაროობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა მონაცემების ნაწილი ინახება სკოლის სივრცეში, კარადებში, რომლების იკეტება და მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ინფორმაცია ასევე ინახება ისეთ ელექტრონული სისტემებში როგორებიცაა ESCHOOL, EFLOW, ელექტრონული ფოსტა და ელექტრონული ჟურნალი. მოცემული სისტემებიდან სხვადასხვა სეგმენტზე წვდომა მხოლოდ ადმინისტრაციის კონკრეტულ წარმომადგენლებსა და პედაგოგებს აქვთ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად და ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. შექმნილია და ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბრძანება : უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ
სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი
შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთოების მექანიზმი

დარაჯებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება
ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება
მრჩეველთა საბჭოს ოქმები
ESCHOOL, EFLOW, ელექტრონული ფოსტა და ელექტრონული ჟურნალი.
პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლას **არ აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. აქვს მიმართვა სახელმწიფოქონების ეროვნული სააგენტოსადმი MES 8 25 0000345482** 27/03/2025 **რათა მოხდეს შენობის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.** შენობა სამსართულიანია. პირველ სართულზე განლაგებულია სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, 4 საკლასო ოთახი.მანდატურის კაბინეტი, ბუფეტი, სპეციალური ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 1

სველი წერტილი. მეორე სართულზე განლაგებულია 3 საკლასო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის და დირექტორის მოადგილის კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია, 1 სველი წერტილი. მესამე სართულზე განლაგებულია 5 საკლასო ოთახი. სააქტო დარბაზი, არქივი 1 სველი წერტილი. სკოლაში უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამისი და მოწესრიგებული ფიზიკური გარემოთი. მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად მოწყობილია საკლასო ოთახები, ამჟამად სკოლაში სწავლობს 91 მოსწავლე. საავტორიზაციო განაცხადი შემოტანილია - 150 მოსწავლეზე. სკოლამ წარმოადგინა აზომვითი ნახაზი, აქვს რეკრეაციული ზონა, სკოლას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა - ცალკე მდგომი საქვაბე. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით - ინდივიდუალური მერხი და სკამი - მასწავლებლის მაგიდით. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია ინტერნეტ-ქსელში ჩართული კომპიუტერებით, თუმცა ინტერნეტი მუშაობს ხარვეზებით. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ლაბორატორია და შემოწმდა კომპიუტერების ინტერნეტ ქსელში ჩართულობა. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო ოთახი,სველ წერტილებში მოწყობილია ინდივიდულური კაბინები ჩამკეტი კარით. კაბინის კარებები, ხელსაბანები/ონკანები გამართულ მდგომარეობაშია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; კერძოდ სკოლის ყველა მოსწავლე და თანამშრომლისთვის ყოველთვის ღიაა სამედიცინო კაბინეტი, ასევე ბიბლიოთეკა, სადაც შეუძლიათ მოსწავლეებს როგორც წიგნების გამოწერა, ასევე ბიბლიოთეკაში წაკითხვა. სკოლის ინფრასტრუქტურა თანაბრადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის, საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენება ხდება წინასწარ შემუშავებული წესის მიხედვით. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რათა მოხდეს საბიბლიოთეკო რესურსების ეფექტურად ხელმისაწვდომობა და გამოყენება. ბიბლიოთეკით ხშირად სარგებლობენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები. კომპიუტრულ ლაბორატორიას ხშირად იყენებენ ელექტრონული რესურსების მოძიებისა და დამუშავებისათვის. მოსწავლეები გაკვეთილებს შორის შესვენებების პერიოდში დასვენებისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის სარგებლობენ შენობაში არსებული დერეფნებით, სკოლის ეზოში არსებული სივრცეებიით, სპორტული აქტივობების განხორციელებისათვის სარგებლობენ სპორტული დარბაზით, აქვთ გარე სპორტული მოედანიც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რათა მოხდეს საბიბლიოთეკო რესურსების ეფექტურად ხელმისაწვდომობა და გამოყენება. ბიბლიოთეკით ხშირად სარგებლობენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები. ბიბლიოთეკარი აღრიცხავს და აკონტროლებს გატანილ წიგნებს თუ სხვა რესურსებს და მათი დაბრუნების ვადებს

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის მიერ მოსწავლეები უზრუნველყოფილია ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით, სასწავლო წიგნებით, საგნობრივი თვალსაჩინოებებით. სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, აქვს გარე და შიდა ლიფტი. სკოლის რესურსი თანაბრადაა ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისათვის. ადაპტირებული სველი წერტილი აქვთ.

ინდიკატორის ოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლა ცდილობს რომ მისი ინფრასტუქტურა გამოყენებული იქნას, როგორც ყველასთვის მისაღები სოციო-კულტურული სივრცე. ინფრასტრუქტურა სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შეუძლიათ სკოლაში არსებული რესურსების გამოყენებით სხვადასხვა აქტივობების განხორციელება,

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შენობა ნაგებობის სქემა

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, რომლებსაც იყენებენ გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. გარდა ამისა კომპიუტერები განთავსებულია სამასწავლებლოსა და კანცელარიაში, ასევე სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან. სკოლის განცხადებით, მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. სკოლას აქვს პროექტორები. შესაბამისი სივრცეები აღჭურვილია პრინტერებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სკოლის პერსონალისთვის და მოსწავლეებისთვის. სამასწავლებლოში განთავსებულ პერსონალურ კომპიუტერებზე წვდომა შესაძლებელია მასწავლებლებისათვის. ისტ ლაბორატორიაში განთავსებული ლეპტოპებით სარგებლობა შეუძლიათ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სარგებლობის წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რაც ხელს უწყობს ამ რესურსის ეფექტიან გამოყენებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლა საქმისწარმოების განხორციელების დროს ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ დოკუმენტის და ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. აქვს ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი. საქმისწარმოების წესების შესაბამისად. სკოლაში საქმისწარმოება ხდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის Eflow-ს მეშვეობთ, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება თითოეული განცხადება **და** ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი. Eflow-ს სისტემაში იტვირთება ბრძანებები, სამსახურებრივი ბარათები. ბრძანებები ინახება მატერიალური ფორმითაც სპეციალურ საქაღალდეში. ჟურნალი დამოწმებულია დირექტორის ხელმოწერითა და სკოლის ბეჭდით. სკოლაში ცალ-ცალკეა გაყოფილი საკადრო და საერთო ბრძანებები, სადაც რიგითობის მიხედვით ენიჭება თითოეულ ბრძანებას ინდივიდულური ნომერი. საკადრო ბრძანებები დანომრილია N1/კ პრინციპით, საერთო ბრძანებები N2. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გათვალისწინებული სპეციალური მოდულის მეშვეობით სკოლა ელექტრონულად ახორციელებს მოსწავლეთა მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს მოსწავლის კლასში ჩარიცხვისა და კლასიდან ამორიცხვის ბრძანების ნიმუშები, რომლის საფუძველშიც მითითებულია მშობლის განცხადება ან/და შესაბამისი სკოლის მოთხოვნა. თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები რეგისტრირებულია შესაბამის სარეგისტარციო ჟურნალში N5. ჟურნალი დამოწმებულია დირექტორის ხელმოწერითა და სკოლის ბეჭდით. ხელშეკრულებები

მატერიალური სახით ინახება სპეციალურ საქაღალდეში. მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 113/ნ 2013 წლის 22.08. საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის Eflow-ს და Eschool-ის სისტემები და მისი წარმოების პროცედურები, რომელსაც ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რითაც დადასტურდა მათი წარმოება კანონმდებლობით მოქმედი საქმისწარმოების წესების შესაბამისად. სკოლაში საქმისწარმოება ხდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის Eflow-ს მეშვეობთ, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება თითოეული განცხადება და ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი. Eflow-ს სისტემაში იტვირთება ბრძანებები, სამსახურებრივი ბარათები. ამასთანავე, სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის გაცვლა.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახულია ინფორმაცია პერსონალისა და მოსწავლეების, ასევე მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ასევე ასახულია საგაკვეთილო ცხრილები, არჩეული სახელმძღვანელოები, საგნების განაწილება მასწავლებლებზე და კლასებზე. პროფილის განახლება ხდება საჭიროებების შესაბამისად, უწყვეტ რეჟიმში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან, კერძოდ, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მის სისტემაში შემავალ სსიპ-ებთან (სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო და ა.შ.). კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - eFlow-ს მეშვეობით, ან, სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, სკოლა, როგორც საჯარო დაწესებულება ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი

შემოსული და გასული კორესპონდენცია

ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი

სკოლის საქმისწარმოების წესი.

სკოლის Eflow და Eschool

კლასში ჩარიცხვისა და კლასიდან ამორიცხვის ბრძანების ნიმუშები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ვებ გვერდზე (http://skolebi.emis.ge) შესაბამისი გვერდის, სოციალურ ქსელში არსებული სკოლის გვერდის, ელექტრონული ფოსტის, სოციალურ ქსელში შექმნილი საკომუნიკაციო ჯგუფებისა https://www.facebook.com/share/1BmtZFfpH4/ და საინფორმაციო დაფის საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის საქმიანობის შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით. მოქმედებს „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომლიც თანახმად სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია ითანამშრომლოს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან და მოთხოვნილ ვადებში მიაწოდოს ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია, აწარმოოს კომუნიკაცია სკოლის შიგნით, და ასევე მის გარეთ იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და გონივრულობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოებისაგან მიღებულ უკუკავშირს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მოქმედებს „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი“,

რომლის ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრულია, რომ „სკოლის უკუკავშირის შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება სკოლის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ხოლო სკოლის ყველა თანამშრომელი აცნობიერებს პასუხისმგებლობას დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაციის და ასევე, უკუკავშირის სხვა შედეგების სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის გამოყენებაზე“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი skolebi.emis.ge , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

https://skolebi.emis.ge/,
https://www.facebook.com/share/1BmtZFfpH4/
საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს (ბიუჯეტი, შესყიდვების გეგმა). სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემით და ბანკიდან მიღებული სარგებლით. სკოლის ადმინისტრაცია განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს. ბიუჯეტი გათვლილია მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ხელფასებზე, კომუნალურ გადასახადებზე,

საკანცელარიო ხარჯებზე, ჰიგიენურ პროდუქციაზე, მიღებული შემოსავლები მიემართება მიზნობრივად, სამოქმედო გეგმების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში ხდება ბიუჯეტის კორექტირება სამეურვეო საბჭოს თანხმობით. სკოლის შესყიდვის წლიურ გეგმას ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით და ცვლილებების შეტანა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში. ყოველი კალენდარული წლის ათ დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნილ ვადებში წარუდგენს ინფორმაციას ფინანსური რესურსების განკარგვისა და მოძრაობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ბიუჯეტი (Eschool)
შესყიდვების გეგმა (http://www.procurement.gov.ge/)
სამეურვეო საბჭოს ოქმი
ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შიდა სასკოლო დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა არის სკოლის შინაგანაწესი. შინაგანაწესი ეფუძნება კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“. შინაგანაწესი უზრუნველყოფს სკოლაში ყველა მოსწავლისათვის ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, სკოლის მართვაში ჩართულობას. სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება. მოსწავლეთა თვითმართველობას თავისი წარმომადგენელი ჰყავს სკოლის უმაღლეს არჩევით ორგანოში. სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენელი მონაწილეობს ბიუჯეტის განხილვაში და ანგარიშგებაში - დირექტორის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა. შინაგანაწესი განსაზღვრავს მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესს,ასევე დისციპლინური წარმოების წესს. სასკოლო სასწავლო გემით განსაზღვრულია სემესტრული გამოცდების ჩატარების წესი და პირობები. მშობელს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მოსწავლის სემესტრული შედეგი. მოქმედებს სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების პროცედურები. დოკუმენტი დამტკიცებულია და განსაზღვრავს განცხადებისა და საჩივრის განხილვის პრინციპებს, წარდგენის წესს, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესებსა და ვადებს.

განხილვაზე უფლებამოსილია შესაბამისი პირი/სტრუქტურული ერთეული/კომისია, რომლის კომპეტენციასაც მიეკუთვნება საჩივარზე პასუხის გაცემა. ამავე დოკუმენტით რეგულირდება დირექტორის/დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი: გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოში. აგრეთვე, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი, თანამშრომელთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრების განხილვის წესი. ამ წესის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს დამოუკიდებლად ან მშობელთან ერთად, ხოლო თუ პრეტენზია არის დირექტორის მიმართ საჩივარი წარედგინება სამეურვეო საბჭოს. უფლების დარღვევის შესახებ საჩივრის განხილვის ვადად განსაზღვრულია ორი კვირა. დირექტორის გადაწყვეტილება და მისი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესი.
სკოლა ხელმძღვანელობს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესდებით, რომლის მესამე თავი აგრეთვე არეგულირებს ამ საკითხებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შინაგანაწესი. შინაგანაწესსა და მასში განხორციელებულ ცვლილებებს დამრიგებლები განიხილავენ მშობელთა კრებებზე. შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლემ, მშობელმა, მასწავლებელმა იციან უფლების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების პროცედურები. ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმაცია ზიარდება სხვადასხვა ხერხით. დაინტერესებული მხარეებისათვის ცნობილია მოსწავლეთა სიაში ჩარიცხვის, ამორიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი, სსსმ მოსწავლეების შეფასების წესი და ისგ შექმნის რეგულაციები. გასაჩივრების პროცედურები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე htpp://skolebi.emis.ge

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი
გასაჩივრების ინსტრუქცია
მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მის მიერ განსაზღვრული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; აღნიშნული პროცედურები ხორციელდება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ,, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04/ნ ბრძანების საფუძველზე. წარმოდგენილია ბრძანებების ნიმუშები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზე ხორციელდებოდა მოსწავლის ჩარიცხვა და საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა. სკოლა ხელმძღვანელობს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ,, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04/ნ ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული პროცედურები ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წარმოების წესის შესაბამისად. სკოლა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე ახორციელებს მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვას. წარმოდგენილია ბრძანებების ნიმუშები. მოსწავლეთა მიერ კლასის დაძლევა კი ხორციელდება პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე და შემდგომ აისახება eschool- ის საინფორმაციო სისტემაში. მაგალითად, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი მომართავს სკოლას განცხადებით მოსწავლის ამორიცხვისა და ჩარიცხვის შესახებ, მომართვის საფუძველზე განცხადება ტარდება eflow-ში და ელექტრონულად ხდება სკოლებს შორის ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა და იგზავნება საბუთები. ბრძანების საფუძველზე ხდება მოსწავლის ამორიცხვა ან ჩარიცხვა. დაწერილი ბრძანება აისახება eflow-ში და მოსწავლე ჩაირიცხება eschool -ის ბაზაში შესაბამის კლასში. სკოლამ ნიმუშისათვის წარმოადგინა შესაბამისი ბრძანებები. აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას დაცული აქვს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის, აგრეთვე სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს მიეწოდებათ დამრიგებლების მიერ. სკოლის შინაგანაწესი, რომელიც აღწერს ქცევით ნორმებს თვალსაჩინოდ არის განთავსებული სკოლის შენობაში. ვებ გვერდზე განთავსებულია მოსწავლეთა ქცევის წესები. მოსწავლეები ჩართულნი არიან საკლასო ქცევის წესების შექმნაში, რომელიც შეესაბამება სკოლის შიდა პოლიტიკას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ვალდებულებაა კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებადი და არადისკრიმინაციული ინფორმაციის გავრცელება. აგრეთვე, მოქმედებს „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომლის თანახმად სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია ითანამშრომლოს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან და მოთხოვნილ ვადებში მიაწოდოს ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია, აწარმოოს კომუნიკაცია სკოლის შიგნით, და ასევე მის გარეთ იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და გონივრულობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა/კომუნიკაციის წესი
მოსწავლის ჩარიცხვის და ამორიცხვის ბრძანებები
საფეხურის დაძლევის შესახებ ბრძანებები
სასკოლო სასწავლო გეგმი
მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში მოქმედებს დამტკიცებული მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი. შექმნილია თანამშრომლობითი, უსაფრთხო და ინკლუზიური სასკოლო გარემო მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მასწავლებლებს, განსაკუთრებით დამრიგებლებს. მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებითა უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის ხელმძღვანელები მშობელთა კრებაზე მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას, რომელშიც მთელი წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობებია

გაწერილი. მიღებული უკუკავშირის ან დამდგარი საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გეგმამ მოდიფიკაცია განიცადოს. სასწავლო გარემოში მოსწავლეთა ეფექტური ადაპტაციისათვის სკოლის დირექცია და დამრიგებლები ახორციელებენ საჭირო აქტივობებს. მაგ: პირველ კლასელებისთვის დამრიგებლები აწყობენ ექსკურსიას სკოლის სივრცეში, რათა მათთვის სკოლის გარემო უცხო არ იყოს. სკოლაში მობილობით გადმოსული მოსწავლის შემთხვევაში მასთან და მის მშობელთან ხდება კლასის ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ხელშეკრულების პირობებს და სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციებს, რომელიც სკოლაშია დამკვიდრებული, რაც ხელს უწყობს მის კლასთან ინტეგრაციას. მოსწავლეების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში განლაგებულია მოსწავლეთა ასაკისა და განვითარების შესაბამისი მერხები, საკლასო გარემო და დამატებითი სივრცეები ხელს უწყობენ მოსწავლეთა კომუნიკაციას ერთმანეთთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლაში დანერგილია განმავითარებელი შეფასების უკუკავშირის ფორმების გაზიარების პრაქტიკა. დაწყებით კლასებში, ელ. ჟურნალში თითოეულ საგანში კეთდება განმავითარებელი კომენტარები, რომელზედაც ხელი მიუწვდება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს. დამრიგებლები მშობელთა კრებაზე მშობლებს აცნობებ კომპლექსური დავალების ბარათებს იმ საგნებისა და კლასების მიხედვით, რომელშიც იგეგმება კომპექსური დავალება. აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა კრების საშუალებით. სკოლამ წარმოადგინა რემედიაციის წესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლა აწვდის ინფორმაციას საჭიროებისამებრ და ავლენს დროულ რეაგირებს განცხადებებზე. პირველივე მშობელთა კრებაზე აცნობს სასკოლო გეგმასა და შინაგანაწესის იმ პუნქტებს რომლებიც მოსწავლის უფლებებს შეეხება; მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს არ დაეთანხმოს საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვოს ქულის ამაღლების მიზნით სემესტრული გამოცდის დანიშვნა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინარული წარმოების წესი და სახეები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტით დგინდება ექსტერნატის ფორმით დაძლევის , გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადები. აღნიშნული ბრძანება გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის . სკოლაში გამოიცემა მოსწავლეების საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევისა და მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება . სკოლა განსაზღვრვს პირველ კლასში მოსწავლეთა ლიმიტს, რომელიც აისახება ელექტრონულად Eschool-ის ბაზაში. გამოიცემა შესაბამისი აქტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერასა და არაფორმალური განათლების წახალისებას. აქვს არაფორმალური განათლების მიმართულებით წარმატებული დამკვიდრებული პრაქტიკა. დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

ნებისმიერი პროექტის თუ აქტივობის განხორციელების შემდეგ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა თუ დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, რომელიც შეიძლება მოწოდებული იქნას, როგორც ზეპირად, ასევე სოციალურ ქსელში

შექმნილ ჯგუფებში, ან გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დატოვებული კომენტარის სახით, ან კიდევ პირისპირ შეხვედრებზე. ამ უკუკავშირების გათვალისწინებით სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას, სკოლა კვლავაც გეგმავს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე, გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურების ხარისხი, გეგმავს მოახდინოს დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების კვლევა, და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი.
- მოსწავლეთა ტრანზიციის წესი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის სკოლას აქვს სხვადასხვა ღონისძიებების განხორცილების გამოცდილება. კერძოდ: კლასის საათის ფარგლებში დამრიგებლები წარმართავენ საუბრებს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას საათობრივ ბადეში არ აქვს გათვალისწინებული მოსწავლეების პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გაკვეთილები, დაწესებულება დაგეგმილი მრავალფეროვანი აქტივობებით აცნობს მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა სისტემატურად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს სხვადასხვა უნივერსიტეტსა და პროფესიულ სასწავლებელში დაგეგმილი ღია კარის დღეების შესახებ. საბაზო და საშუალო საფეხურის დამამათავრებელ კლასებში დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა მოსწავლეების გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგად სკოლამ მიიღო ინფორმაცია, თუ რომელი პროფესიით არიან დაინტერესებულნი მოსწავლეები, რა სახის ინფორმაციის მიღებას ისურვებდნენ ისინი პროფესიების შესახებ და რომელ ორგანიზაციაში სურთ ვიზიტი პროფესიის გაცნობით მიზნით. სკოლა აღნიშნული გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გეგმავს მოსწავლეებისათვის შესაბამისი მომსახურების დაგეგმვასა და შეთავაზებას, ხოლო ყოველწლიურად ჩაატარებს გაწეული მომსახურების შეფასებას და შედეგებზე დაყრდნობით დაგეგმავს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სადამრიგებლო პროგრამები

კლასის საათის ოქმები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

   სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი, რომელის მუშაობა წარიმართება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში წარმოებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობის წარმატებული დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც ორიენტირებულია სსსმ მოსწავლისა და განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლაში სწავლობს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებული 1 სსსმ მოსწავლე. სკოლაში დასაქმებულია 1 სპეციალური მასწავლებელი. ვიზიტის პერიოდში ჩატარებული გასაუბრებით გამოვლინდა, რომ სსსმ მოსწავლის მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობის პრინციპებს. ისგ შემუშავების პროცესში ჩართულია მშობელი, საგნის მასწავლებელი და სპეციალური მასწავლებელი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.

ბრძანება ისგ შექმნის შესახებ
შიდა მონიტორინგის დასკვნა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აღსანიშნავია, რომ სკოლა სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამით. ამ მომსახურების განხორცილების პროცესში სკოლა მონიტორინგს უწევს მოსწავლეთა გადაადგილებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა აცხადებს მზაობას დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევის შემთხვევეაში ის განხორციელდეს ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლა აცხადებს მზაობას, დამატებითი მომსახურება განხორციელდეს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვითა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალიწინებით. ტრანსპორტირების პროცესში სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე და ითვალისწინებს შესაბამის რეგულაციებს. სკოლაში კონტროლდება უცხო პირთა შემოსვლა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სატრანსპორტო მომსახურების ტაბელები
სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას და ასევე კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები , შესაძლებლობები და პრიორიტეტები .

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო კურიკულუმში სკოლას ასახული აქვს თუ რა ინტერესი, შეხედულებები, საჭიროებები, შესაძლებლობები აქვთ სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს, მოსწავლეთა, მასწავლებელთა უკუკავშირი, მიგნებები, რეფლექსიები.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ვიზიტის პერიოდში მასწავლებლებთან გასაუბრებისას ცალსახად გამოიკვეთა კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ნათელია, რომ კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობდა სკოლის ყველა მასწავლებელი, სკოლის დირექცია, მშობლები. სკოლამ აღნიშნა, რომ სასწავლო საზოგადოების ჩართულობა იყო მნიშვნელოვანი, რათა მაქსიმალურად ყოფილოყო გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები. ამის უზრუნველსაყოფად ყველა კლასის დონეზე მოეწყო მშობლებთან შეხვედრები, და მშობელთა უკუკავშირები გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში ყველა მასწავლებელი იზიარებს კურიკულუმის ზოგად ჩარჩოს, შეთანხმებულნი არიან შეფასების მოდელთან რომელიც ითვალისწინებს განმსაზღვრელი შეფასების დაწერას საკლასო საშინაო და შემაჯამებელ სამუშაოებში სკოლის ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- პედ.საბჭოს ოქმი კურიკულუმის შემუშავებაზე
- ასკოლო კურიკულუმი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც მთლიანობაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები (ძირითადად სახელმძღვანელო). **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების პროგრამების მიხედვით. სათანადოდაა გაწერილი ცნებები, თემა, საკითხი და ა.შ.

	გამონაკლისია მე-12 კლასის მსოფლიო ისტორიის კურიკულუმი, რომლის თემების დახვეწისთვის სკოლას მიეცა რჩევა. დანარჩენი კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები. მასში გაწერილია შემოქმედებითი პროდუქტის იდეები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესებიდან გამომდინარე, რაც ეხმარება ყველა სამიზნე ცნებაზე გასვლაში. შერჩეული შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და სრულად წარმოაჩინოს საკუთარი თავი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ყოველივე ეს დამყარებულია პედაგოგების მიერ მთელი წლის განმავლობაში მოსწავლეების ნამუშევრებზე დაკვირვებითა და გაანალიზებით რამდენად მიემართება ისინი საფეხურის შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. სკოლას აქვს ინტეგრირებული სწავლების პრაქტიკაც და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტებს. **რჩევა:** სასურველია, ინგლისური ენის კურიკულუმის ჩარჩოს გრაფაში - “თემა” მითითება მოხდეს უშუალოდ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემებისა და არა მხოლოდ სახელმძღვანელოს თავებისა. ღნიშნული რჩევა ეხება, ასევე, რუსული ენის რიგი კლასების კურიკულუმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ესთეტიკური აღზრდა	ითეოული თემა მუსიკასა და ხელოვნებაში მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებზეა ორიენტირებული. სევე კურიკულუმში წარმოდგენილი თემები საკმაოდ დიდ შემოქმედებით დიაპაზონს მომიცავს და სხვადასხვა ინტერესის თუ შესაძლებლობის მოსწავლის ჩართულობას ითვალისწინებს. რაქტიკული ნაწილი, დასაწერი ტექსტები, მოსამზადებელი პრეზენტაციები ერთი მხრივ შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ არის მიმართული, მეორე მხრივ კი არჩევანის, თავისუფალი აზრის გამოთქმის, განსხვავებული ხედვით თუ ექსპერიმენტების გზით შექმნის შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა, ამას მოწმობს ის შუალედური მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც სახელმწიფო ენის კურიკულუმის ცხრილებშია ასახული. მაგალითად, 1-ლი კლასი- მოთხრობის მიხედვით სიუჟეტუტრი ნახატების შექმნა. მე-2 კლასი იგავი „ ლომი და თაგვი“ წერილის შექმნა. მე-3 კლასი -იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „ ჭკვიანი ძაღლების“ მიხედვით ეპიზოდის შექმნა, მე-4 კლასი დიორამის შექმნა, მე-5 კლასი ა. სულაკაურის მოთხრობა „ ბიჭი და ძაღლი“ წინარე ეპიზოდის შექმნა. მე-6 კლასი ვაჟა -ფშაველა „ შვლის ნუკრის ნაამბობი“ წერილის შექმნა, მე-8 კლასი წარმოსახვითი წერილი ანა ფრანკსა და მარო მაყაშვილს შორის, მე-7 კლასი , მე-8 კლასი- ანალიტიკური ესე „ ერთი სიცოცხლე ორი სამშობლო“, მე- 10 კლასი - ანალიტიკური ესე „სარწმუნოებისთვის თავდადებული ქალი შუშანიკი“,მე- 11 კლასიკედლის გაზეთი“ აღმოსავლურ- დასავლური ტენდენციები ქართულ ლიტერატურაში“ მე- 12 კლასი- ანალიტიკური ესე - ყვარყვარე თუთაბერის დახასიათება (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის“ მიხედვით)

	პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ საგნის სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური და მაქსიმალურად მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმები არსებითად მოსწავლეზეა ორიენტირებული. ეს აშკარად ჩანს თემებში, საკითხთა კლასტერებში, კომპლექსურ დავალებებში, საგანმანათლებლო აქტივობებსა და რესურსებში, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებაზე. გასაუბრებამ დაადასტურა, რომ მათემატიკის მასწავლებლები სრულად აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობას, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ისინი ეფექტურად ორიენტირდებიან გრძელვადიან მიზნებზე და უპირატესობას ანიჭებენ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ ცოდნის დაგროვებას, არამედ სიღრმისეულ გაგებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. გასაუბრებაზე მასწავლებლებს მიეცათ რჩევები მცირეოდენი ხარვეზების შესასწორებლად. მაგალითად, კონტექსტის მაგალითში აუცილებელია შემოქმედებითი დავალების სათაურის მითითება, ხოლო დავალების იდეაში – მისი მოკლე აღწერა. აღსანიშნავია, რომ საშუალო და საბაზო საფეხურის თითი კლასის კურიკულუმში უკვე განხორციელდა ნაწილობრივი შესწორებები. რჩევა: სასურველია გადაიხედოს ყველა კლასის კურიკულუმი და მოხდეს კონტექსტური მაგალითებისა და დავალების იდეის სვეტების შესაბამისობაში მოყვანა, რათა თანმიმდევრულად აისახოს ზემოთ აღნიშნული გაუმჯობესებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სპორტი	შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეზე და მიზნად ისახავს მოსწავლის ფიზიკური განვითარების მხარდაჭერას, ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირებისა და მოტორული უნარების განვითარებისთვის ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნას, კურიკულუმი ითვალისწინებს , როგორც თეორიული, ისე პრაქტიკულ ცოდნის შეძენა, რაც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლებას პროცესს ხდის უფრო ეფექტიანს. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა:** *სასურველია დაწყებითი საფეხურის კერძოდ, პირველი კლასის კურიკულუმში მოსწავლეთა ფიზიკური თვისებების განვითარებისა და სპორტულ აქტივობებში ჩართულობის მიზნით გაიზარდოს თემების, სპორტის სახეობების რაოდენობა.*
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი ტექნოლოგიების კურიკულუმის ყველა კლასის ჩარჩო იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე. ჩანს თემა, რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების V და VI კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც მთლიანობაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო -

	ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში უმეტესად სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების იდეა, **თუმცა გამოიკვეთ რიგი უზუსტობები, ამიტომ სკოლას მიეცეს რჩევა:** ს□ბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სავალდებულო სასწავლო თემების და სამიზნე ცნების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, ყველა ძირითად საკითხთან განსაზღვრული (ამავდროულად სწორად) იყოს სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები (სადაც დაგეგმილია კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების განხორციელება); ს□ბაზო და საშუალო საფეხურის ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, ყველა ძირითად საკითხთან განსაზღვრული (ამავდროულად სწორად) იყოს

	სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები (სადაც დაგეგმილია კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების განხორციელება), ყველა ცალკე გამოყოფილ სამიზნე ცნებასთან მინიმუმ განსაზღვრული იყოს ძირითადი საკითხი და სასწავლო რესურსი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების იდეაში მითითებული იყოს, თუ რომელი შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ და ამავდროულად, მკაფიოდ ჩანდეს, თუ რა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ შემოქმედებითი პროდუქტის პრეზენტირების დროს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში გაწერილია ცნებები, მიზნები , რომლებიც უნდა იქნეს მიღწეული სწავლების პერიოდში. ურიკულუმებში გაწერილი მიზნები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში შემოქმედებითი პროდუქტის იდეები წარმოდგენილია იმდაგვარად, რომ აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას. კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, განსაზღვრულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, რასაც უშუალოდ უკავშირდება შემოქმედებითი პროდუქტი. მათი განხორციელების პროცესში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებისთვის

	ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ხორციელდებ პროექტები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში, რომელიც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმი აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესაბამისად. ითოეული წარმოდგენილი თემა მუსიკასა და ხელოვნებაში, მისთვის შერჩეული ცნებები და ქვეცნებები, შემოქმედებითი პროდუქტი სწორედ ამ მიზნის მიღწევის ხელშემწყობია. მასვე ადასტურებს შეფასების კრიტერიუმები და რამდენიმე შესრულებული დავალების მაგალითიც, რომლებიც მასწავლებლებმა გამიზიარეს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმები აკმაყოფილებს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: **თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები.** ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და კონკრეტული ნიმუშები გვაძვლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეთა მიღწევებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით აფასებს.
მათემატიკა	წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, კერძოდ მეათე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი

	შემოქმედებითი დავალების იდეა „ფინანსური მათემატიკა“ მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. ასევეა სხვა შემოქმედებითი ბუნების დავალებებში სხვადასხვა კლასებისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმი გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე და ითვალისწინებს საგანმანათლებლო ამოცანების შესრულებას. შემოქმედებითი დავალებები ორენტირებულია სამიზნე ცნებებზე და მოიცავს ისეთ პრაქტიკულ დავალებებს, როგორიცაა სპორტული ფესტივალი, მხიარული თამაშები. რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი, გუნდური, სოციალური უნარების განვითარებას. *რჩევა: სასურველია დაწყებითი კლასის, კერძოდ პირველი კლასის კურიკულუმში შერჩეულ თემებში დამუშავდეს სამივე სამიზნე ცნება. მეორე კლასის კურიკულუმში დავალების იდეაში პრაქტიკული სამუშაოს ნაცვლად მიეთითოს თემის შესაბამისი შემოქმედებითი დავალება, ხოლო მესამე კლასის კურიკულუმში დავალების იდეა გაიწეროს ყველა შერჩეულ თემაში.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება ესგ-ს ყელა შედეგი და სამიზნე ცნება: პირობითი ნიშნები, პროგრამული კოდი (ალგორითმი),

	ინფორმაცია, ინტერნეტი, ციფრული მოქალაქეობა. კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების V და VI კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში უმეტესად სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების იდეა, **თუმცა გამოიკვეთ რიგი უზუსტობები, ამიტომ სკოლას მიეცეს რჩევა:** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების V და VI კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სამიზნე ცნების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება; კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების იდეაში მითითებული იყოს, თუ რომელი შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ და ამავდროულად, მკაფიოდ ჩანდეს, თუ რა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ შემოქმედებითი პროდუქტის პრეზენტირების დროს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში უმეტესად სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სასწავლო რესურსები - ძირითადად გრიფირებული სახელმძღვანელო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, **თუმცა გამოიკვეთა რიგი გარემოებები, ამიტომ სკოლას მიეცეს რჩევა:** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სასწავლო რესურსებში გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი, უმჯობესია მითითებული იყოს იმ რესურსებისა თუ ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოების ელექტრონული მისამართები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ურიკულუმებში რესურსებად მითითებულია როგორც სასკოლო სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მასალები: ინტერნეტ რესურსები. **კოლას მიეცა რჩევა,** საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალ ზოგიერთ საგანში კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს რესურსები და მიეთითოს კურიკულუმებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში თითვეულ სასწავლო თემას მითითებული აქვს შესაბამისი სასწავლო რესურსი. სასწავლო რესურსებში მოცემულია გრიფირებულ სახელმძღვანელოდან საკითხები, დამატებითი წყაროები და ელექტრონული რესურსები. მოცემული სასწავლო რესურსები უშუალო კავშირშია სამიზნე ცნებებთან, მის მკვიდრ წარმოდგენებთან და საგნოგრივ საკითხებთან, რომლებიც უნდა იქნას გააზრებული სწავლა-სწავლების პროცესში და უზრუნველყოს სწავლის შედეგები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	ვინაიდან, თითოეულ საფეხურზე გრიფირებული სახელმძღვანელოებია შერჩეული, ეს რესურსი ცხადია უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ზოგიერთ კლასში (დაწყებით საფეხურზე) რესურსად მხოლოდ სახელმძღვანელოა წარმოდგენილი, ამიტომ აუცილებელია დამატებითი რესურსების შემოტანა. სევე, ხელოვნების კურიკულუმებში რესურსებში ხელოვნების

	გაკვეთილზე საჭირო მასალაა ჩამოთვლილი, რაც ამ გრაფაში არ უნდა ეწეროს და ეს ვერ ჩაითვლება რესურსად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი (მატერიალური და ციფრული სასწავლო რესურსები) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე მრავალფეროვანი დამხმარე ონლაინ და მატერიალური რესურსები. ონლაინ რესურსების მაგალითებია ჰიპერლინკები, სასწავლო ვიდეოებზე „ტევე სკოლის“ ვიდეო გაკვეთილები, „კარგი სკოლის“ ტესტები „ხანის აკადემის გაკვეთილები და ტესტები“ პროგრამა geogebra და სხვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სწორედ ასეთი მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს, თემებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას და ცოდნის მრავალმხრივ სიღრმისეულ ათვისებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსები: ჰიპერლინკები, პრეზენტაციები, სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, სპორტული ინვენტარი: ბურთები, კონუსები, ჰულაჰუპები და სხვა განკუთვნილია სწავლის შედეგების მისაღწევად. მოსწავლეს შეუძლია სწორად და უსაფრთხოდ შეასრულოს მარტივი ფიზიკური აქტივობები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. ასევე უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების V და VI კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში უმეტესად სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სასწავლო რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, **თუმცა გამოიკვეთა რიგი გარემოებები, ამიტომ სკოლას მიეცეს რჩევა:** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების V და VI კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სასწავლო რესურსებში გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი, ყველა ძირითად საკითხთან უმჯობესია მითითებული იყოს იმ რესურსებისა თუ ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოების ელექტრონული მისამართები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნია ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. მასწავლებლებთან

	გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის წარმართვისათვის, **თუმცა გამოიკვეთა რიგი გარემოებები, ამიტომ სკოლას მიეცეს რჩევა:** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში უმჯობესია, სრულად აისახოს ყველა დაგეგმილი თემის სწავლება შესაბამისი საგნობრივი მიზნების გათვალისწინებით. ასევე, დეტალურად იქნეს გაწერილი მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მასავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. კოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მოსწავლისთვის გამარტივებული დავალება. ასაუბრებამ ცხადყო, რომ სკოლას აქვს მსგავსი მიდგომის გამოცდილება. ქვთ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის შემოქმედებითი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. ეს ნათლად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ შემოქმედებით პროდუქტის იდეებსა და მათი განხორციელების პროცესში.

	აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ორივე საგანში და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის. ჩევა: უმჯობესია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში უცხოურ ენებში სრულად აისახოს ყველა დაგეგმილი თემის სწავლება შესაბამისი საგნობრივი მიზნების გათვალისწინებით. ასევე, დეტალურად იქნეს გაწერილი მიზნის მისაღწევად გადასადგმელი ნაბიჯები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლებს არ ქონდათ ატვირთული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინტერვიუს დროს გაირკვა რომ მათ საგნებში სსმ მოსწავლე ამ საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე არ საჭიროებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ აქვთ დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინების პრაქტიკა და წარმოადგინეს კიდეც სახელმწიფო ენის სწავლებისას დიფერენცირებული მიდგომის შესაბამისი საგაკვეთილო აქტივობები. მაგალითად, მე-5 კლასი - რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „ მუხა“ დიფერენცირებული დავალებება, მოიცავს ორ დონეს: საშუალო , მაღალი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები. . დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების, ინტერესებისა და უნარები მიხედვით. გარდა ამისა, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები , რომლებიც იძლევა მათი ადაპტირების საშუალებას, რაც სწავლა-სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების კარგი წინაპირობაა.

	გასაუბრებიდან ასევე გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებსაც. პედაგოგებს აქვთ ინდგეგმაზე მუშაობის გამოცდილება. რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდგეგმით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	საგნობრივი კურიკულუმი აგებულია ისე, რომ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები ორგანულადაა მასში ინტეგრირებული. შემოქმედებითი ტიპის დავალებების პირობები, კრიტერიუმები და აქტივობები გაფორმებულია ისე, რომ მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ, რაც შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებს, თანაბრად ჩაერთონ სასწავლო აქტივობებში და მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი პოტენციალი დავალებების ნიმუშები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ შემოქმედებითი პროდუქტის სასურველი ფორმა, რაც მათი ინდივიდუალური მზაობისა და ინტერესების გათვალისწინების ნათელი მაგალითია, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და მოტივაციას. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, და ადაპტირებული შემოქმედებითი დავალებები. უზრუნველყოფილია მათი საჭირო მხარდაჭერა პედაგოგების უკუკავშირით დასტურდება, რომ მასწავლებლები აქტიურად აკვირდებიან მოსწავლეთა სწავლის პროცესს, აგროვებენ მონაცემებს და მათი ანალიზის საფუძველზე ადგენენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს. ეს მონაცემები გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და ინდივიდუალური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. **რჩევა**: სასურველია ისგ გაუმჯობესდეს (მე-8კლ). მასში სრულად აისახოს ყველა დაგეგმილი თემატური ერთეული რომელიც ესგ-ით არის განსაზღვრული. თითოეული თემის სწავლება უნდა ეფუძნებოდეს ესგ-ის მიერ დადგენილ საგნობრივ მიზნებს. ამის შემდეგ დეტალურად გაიწეროს მიზნის მისაღწევად გადასადგმელი კონკრეტული, გაზომვადი და მიღწევადი ნაბიჯები, ეს მიდგომა ხელს უწყობს, რომ ინდივიდუალური

	სასწავლო გეგმა იყოს არა მხოლოდ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული, არამედ სრულად ინტეგრირებული ესგ-ს მათემატიკის სტანდარტებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილ და გათვალისწინებულ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, როგორიცაა შიდა სასკოლო ფესტივალი, ნახატების კედლის გაზეთების, ბუკლეტები მომზადება ფიზიკური აქტივობის თემატიკით, გათვლილია სხვადასხვა უნარისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების საჭიროებებზე და ითვალისწინებს მთ შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. საგაკვეთილო პროცესს და აქტივობებს გეგმავენ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. მოსწავლეებს სთავაზობენ განსხვავებულ, მათ საჭიროებებზე მორგებული დავალებებს, სადაც მოსწავლეები შეძლებენ საკუთარი თავის გამოვლენას. გათვალისწინებულია დავალებების დიფერენცირება მაღალი, საშუალო და დაბალი მზაობის მოსწავლეებისათვის. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნია ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის წარმართვისათვის, **თუმცა გამოიკვეთა რიგი გარემოებები, ამიტომ სკოლას მიეცეს რჩევა:** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების V და VI კლასის ბუნებისმეტყველების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში უმჯობესია, სრულად აისახოს ყველა დაგეგმილი თემის სწავლება შესაბამისი საგნობრივი მიზნების გათვალისწინებით. ასევე, დეტალურად იქნეს გაწერილი მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლის შეფასების სისტემა მთლიანობაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, **თუმცა არის უზუსტობები,** **სკოლას მიეცეს რჩევა:** საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად; განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სამიზნე ცნება/ქვეცნება, ძირითადი საკითხი თანხვედრაში მოდიოდეს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრულ სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან, ძირითად საკითხთან (ერთი და იგივე კონტექსტ - მაგალითის

	შემთხვევაში), ამავდროულად, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაწერილი იყოს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილების მიხედვით დაგეგმილი ყველა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების მიმართ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით დგინდება, რომ მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. შეფასების რუბრიკები მორგებულია კონკრეტულ დავალებებზე და ქმნის სამართლიანი შეფასების წინაპირობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	კათედრას აქვს სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტის იდეას. კათედრაზე ეფექტურად იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს (დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება), რომელზეც დაკვირვებას აწარმოებენ მასწავლებლები მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. ჩევა: კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ არამარტო მესამე თაობის ესგ ინდიკატორებს, არამედ იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა მუსიკასა და ხელოვნებაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების, მიზნებისა და ამოცანების შესაბამისია. ,ასწავლებლებმა წარმოადგინეს სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკა: მხატვრული ნამუშევრის, ხელოვნების სტილისტური ანალიზის, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკები, რაც სწორედ ამ საგნების სტანდართით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების მისაღწევად არის საჭირო. ძალიან მნიშვნელოვანია რომ წარმოდგენილი იყო არა მხოლოდ ზოგადი, არამედ კონკრეტულ დავალებებს მორგებული შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა უმეტესად მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული დავალებების შეფასების კრიტერიუმები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთასა და ამოცანებს შეესაბამება სახელმწიფო ენაში სკოლის მიერ წარმოდგენილი ისეთი შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა: დავალების პირობისა და ტექსტის გააზრების შეფასების რუბრიკა, მხატვრული ტექსტის თხრობის შეფასების რუბრიკა; პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა; პროექტის შეფასების სქემა და სხვა
მათემატიკა	მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით (ესგ) განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, სწავლის ყველა საფეხურზე. სასწავლო პროცესში, აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე და მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე. მათემატიკის კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები.

	კერძოდ, განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული, რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას და მოსწავლის პროგრესის დიაგნოსტირებას. შემოქმედებითი დავალებების შესაფასებლად გამოიყენება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკები. რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, აღწეროს შესრულებული სამუშაო, და შეაფასოს წარმოდგენილი ნაშრომი. საბაზო-საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ესგ-ის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, თუმცა ზოგიერთ შეფასების რუბრიკაში ეს მკაფიოდ არ ჩანს. მასწავლებლების უკუკავშირით დასტურდება, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მათ ეხმარება მოსწავლეების მიღწევის დონის განსაზღვრაში და მათი შედეგების დიაგნოსტირებაში. ამის საფუძველზე კი ხდება მოსწავლის პროგრესის გზის დაგეგმვა. რაც ხელს უწყობს სწავლის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. **რჩევა:** შეფასების ინსტრუმენტები კიდევ უფრო ინტეგრირებული რომ იყოს სასწავლო პროცესში სასურველია, მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას . ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. ეს ხელს შეუწყობს, არა მხოლოდ შეფასება, არამედ მთელი სწავლება იყოს მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიის რუბრიკები, სადაც დონეების მიხედვით გაწერილია კონკრეტული დავალების ფარგლებში მისაღწევი შედეგები.

	რჩევა: *სასურველია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკები გაიწეროს საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი თემების შესაბამისად. ხოლო შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. შეფასების რუბრიკები მორგებულია კონკრეტულ დავალებებზე, შეფასების სისტემა მასწავლებლებს ეხმარება გაანალიზონ, კრიტერიუმთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები. სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად მიმართავენ დიაგნოსტიკას, რემედიაციის პროგრამას. განმავითარებელი შეფასების განსახორციელებლად მასწავლებლები მიმართავენ კონსტრუქტივისტულ აქტივობებს, როგორიცაა: პრეზენტაცია, ექსპერიმენტი, ესე, დისკუსია, პროდუქტის შექმნა და ა.შ. ასეთი აქტივობების შემდეგ განხორციელებული უკუკავშირი, მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, უკეთ დაინახოს მიზნის მისაღწევად გასავლელი გზა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* მოსწავლის შეფასების სისტემა მთლიანობაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, **სკოლას მიეცეს რჩევა:**

	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების V და VI კლასებისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად; განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სამიზნე ცნება/ქვეცნება, ძირითადი საკითხი თანხვედრაში მოდიოდეს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრულ სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან, ძირითად საკითხთან (ერთი და იგივე კონტექსტ - მაგალითის შემთხვევაში), ამავდროულად, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაწერილი იყოს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილების მიხედვით დაგეგმილი ყველა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების მიმართ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები

შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად, კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თემებს, ცნებებსა და მიზნებს. მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების კურიკულუმებში საკითხებად და საკითხთა კლასტერებად გაწერილია ისეთი საკითხები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თემას, ცნებებსა და მიზნებს. □ს

	ხელს უწყობს მოსწავლემ მიიღოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნით გათვალისწინებული განათლება. მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებას, რაც მათ მრავალი უნარის განვითარების შესაძლებლობას აძლევს. სკოლას მიეცა რჩევა, ზოგიერთი საგნისა და კლასების კურიკულუმებში უფრო დეტალურად გაიწეროს დავალებების იდეები. თუმცა, გასაუბრებისას მოხდა ამ დავალებების კონკრეტიზაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში სტანდარტით გათვალისწინებული თემები ისეა აგებული, რომ მოსწავლე ეცნობა შესასწავლ საკითხებს ძირითადი სახელმძღვანელოდან, დამატებითი წყაროებიდან და შერჩეული ელექტრონული რესურსებიდან. თითვეული სავალდებულო თემა ჯამდება შემოქმედებითი პროდუქტის იდეით, რომლის განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ შეასრულოს კონკრეტული აქტივობები და ბოლო ეტაპზე შეძენილ ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. აღნიშნული იძლევა იმის მტკიცებულებას, რომ მოსწავლე შეძლებს ცოდნის გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. აღნიშნულად შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოს მიხედვით კათედრას აქვს დეტალურ გეგმა/ნაბიჯები თუ როგორ განხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი მუსიკასა და ხელოვნებაში მეტწილად დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, თუმცა ამ ორი საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია ზოგჯერ ცვლილებების შეტანაც, სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების საჭიროებიდან გამომდინარე.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგები ასწავლიან იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, ცდილობენ კონკრეტული შუალედური მიზნებით გავიდნენ გრძელვადიან მიზანზე და მიაღწიონ საფეხურის შედეგს. ცხადია, იყენებენ კურიკულუმებში წარმოდგენილ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ვიანაიდან პროცესი ცოცხალია, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული კურიკულუმებში მცირე ცვლილებების შეტანაც.
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სამიზნე ცნებებისა და ამოცანის მიღწევას. ეს შესაბამისობა გამოიხატება არა მხოლოდ კურიკულუმების შინაარსში, არამედ პედაგოგების ყოველდღიურ პრაქტიკაშიც, რაც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა. სასკოლო კურიკულუმი განსაზღვრავს საგნობრივ შედეგებსა და შეფასების ინდიკატორებს, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, ზუსტად იცოდნენ, რა ცოდნა და უნარები უნდა განუვითარონ მოსწავლეებს ესგ-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. კოლაში დანერგილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება ესგ-ის შეფასების ინდიკატორებს, ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას და მათი პროგრესის გზის დაგეგმვას. წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებების განმავითარებელი რუბრიკები, რაც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს, გააანალიზოს და შეაფასოს საკუთარი ნაშრომი, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები ცოდნის კონსტრუირების სხვადასხვა საფეხურს ფარავს – დეკლარაციულიდან პირობისეულ ცოდნამდე. ამგვარად, სკოლა ქმნის სასწავლო გარემოს, სადაც ყოველი აქტივობა, დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, და მაქსიმალურად უწყობს ხელს მოსწავლეთა სრულყოფილ განვითარებასა და ესგ-ის მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები შემუშავებულია სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. ეს კი შესაძლებლობას იძლევა სასწავლო პროცესი იყოს ეფექტური და განხორციელებული კურიკულუმის შესაბამისად. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი, აქცენტი კეთდება სავალდებულო თემებზე, ქვესაკითხებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის/კომპლექსური დავალებები .სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს ფუნდამენტური აკადემიური უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარებას. სასწავლო პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების აღმოჩენასა და განვითარებას. ყველა კლასში ხორციელდება საგნობრივი კურიკულუმებით დაგეგმილი დავალებებით. სადაც გათვალისწინებულია: კომპლექსური ბუნების დავალებები, თანამშრომლობით სწავლა, მოსწავლის ინიციატივების წახალისება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად, კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ბუნებისმეტყველება, V და VI კლასები) კურიკულუმის ჩარჩო, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თემებს, ცნებებსა და მიზნებს. მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. დავალებებზე მუშაობის პროცესში მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე. საჭიროებისამებრ ხდება გაკვეთილების დაწყვილება გადანაცვლება. .

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; სკოლაში სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10 - ქულიანი შეფასების სისტემა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასებების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. სინი იძლევა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასებების საფუძველს. ეფასებების სისტემა ერთიანია და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ მათ. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. შეფასება ხდება სისტემატურად და გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი, თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ ისინი შეფასების ინსტრუმენტის შერჩევისას ითვალისწინებენ როგორც საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს,

	სამიზნე ცნებებს, ასევე მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. საგნების მასწავლებლებლები შემაჯამებელ დავალებებს ამოწმებენ წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემებით და შერჩეულ შეფასების რუბრიკებს აცნობენ როგორც მოსწავლეებს, ასევე მათ მშობლებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	გამოგზავნილი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე □ეფასების სისტემა უმეტესწილად არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური. □ასწავლებლებს წარმოდგენილი ქონდათ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. □არმოდგენლი იყო რამდენიმე მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება და კონკრეტულად ამ დავალების შეფასება. □ეკომენდაციის სახით მინდა ვურჩიო ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებს, რუბრიკების შექმნისას საშუალო საფეხურზე (პროექტით სწავლება) გამოიყენონ არა ზოგადი, არამედ კონკრეტულად პროექტს და მის თემას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ასევე განხორციელებული კომპლექსური ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შექმნილი და შევსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობას ადასტურებს სახელმწიფო ენის პედაგოგთა ინტერვიუც, რომლის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების, წერის, თუ ზეპირი გამოკითხვის წინ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს.
მათემატიკა	სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს **ვალიდობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის** კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ზუსტ, სამართლიან და ეფექტურ შეფასებას. მისი **ვალიდობა** დასტურდება იმით, რომ ის ზომავს– მოსწავლეთა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმითაა

	განსაზღვრული.(წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები) სისტემის **სანდოობა** კი იმაში მდგომარეობს, რომ შეფასების შედეგები თანმიმდევრულია, შეესაბამება სტანდარტის ინდიკატორებს, რაც გამორიცხავს შემთხვევითი ფაქტორების გავლენას. **გამჭვირვალობა** მიიღწევა შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების კომუნიკაციით, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს საშუალებას აძლევს, სრულად გაიგონ შეფასების პროცესი. ეს ყოველივე განაპირობებს შეფასების **ობიექტურობასაც**, სუბიექტური ფაქტორების გავლენა მინიმუმამდეა დაყვანილი და შეფასება კონკრეტულ, წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებს ეფუძნება. შეფასების სისტემის **სამართლიანობა** კი გამოიხატება მის ინკლუზიურობასა და დიფერენცირებულ მიდგომებში, რაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. (წარმოდგენილია შეფასების როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი რუბრიკები, მოსწავლეების შემოქმედებითი დავალებების და შემაჯამებელი წერის ნიმუშები, და შედეგების ანალიზი) **რჩევა:** სასურველია შეფასების სისტემის სანდოობისა და ვალიდურობის ობიექტურობის სამართლიანობისა და გამჭირვალობის კიდევ უფრო გაღრმავება სასწავლო პროცესში. ინტენსიურად გამოიყენეთ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, ხელი შეუწყვეთ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, რათა მოსწავლეებმა თავად შეძლონ საკუთარი და თანატოლების პროგრესის ანალიზი, გაუძლიერდეთ მეტაკოგნიტურ უნარები და სწავლისადმი პასუხისმგებლობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**.
სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის მიმართულებით წარმოდგენილია, შეფასების რუბრიკა, სოლო ტაქსონომია, რომელშიც კრიტერიუმები გაწერილია დონეებისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით. მოსწავლემ იცის და შეუძლია იმსჯელოს, გაიაზროს ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობის აუცილებლობასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე. ყველაფერი ეს კი შეფასების ვალიდურობას, ობიექტურობასა და სანდოობას უზრუნველყოფს.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, შეფასების რუბრიკები მარტივად აღქმადია, კრიტერიუმები ცნებათა მკვიდრ წარმოდგენებს მიემართება და დავალების მიზანს შეესაბამება, ყველა მოსწავლე ფასდება ერთი და იგივე კრიტერიუმით, მოსწავლეებმა წინასწარ იციან, რის მიხედვით ფასდებიან. ასევე მშობლებისათვისაც ცნობილია კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ბუნებისმეტყველება, V და VI კლასები) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; სკოლაში სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10 - ქულიანი შეფასების სისტემა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს რეგულარულად ეცნობება მშობელს მოსწავლის შეფასების შესახებ, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას,

ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ. კათედრების სხდომებზე ანალიზდება დავალებები. შეფასების კუთხით, მშობლებთან დამყარებულია აქტიური უკუკავშირი თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მათი შეფასებების წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სასკოლო კურიკულუმი
დავალების ნიმუშები
მშობელთა შეხვედრის ოქმი
კათედრის სხდომის ოქმები
ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულებით სკოლა ყველა კლასში სასწავლო რესურსად ძირითადად იყენებს გრიფირებული სახელმძღვანელოს, **სკოლას მიეცეს რჩევა:** სასწავლო რესურსებად გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი, უმჯობესია გამოყენებულ იქნას ასევე ელექტონული და ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოები სხვადასხ აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა რესურსებად იყენებს სახელმძღვანელოებს და მათში მოცემულ დამატებითი მასალების ბმულებს. □მასთანავე, სხვა ინტერნეტ რესურსებსაც. □კოლას მიეცა რჩევა, რომ სხვადასხვა მიმართულებით კიდევ უფრო გაამრავალფეროვნონ რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	რესურსები განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით კლასებისა და საგნების მიხედვით უშუალოდ საგნის მასწავლებლების მიერ, რომლებიც აქვთ არამარტო საგნობრივი ცოდნა არამედ იცნობენ კონკრეტულ კლასებს, იციან მათი ინტერესის სფეროები და ასაკობრივი თავისებურებები, რომლის გათვალისწინებითაც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების არჩევისას სასწავლო წლის დასაწყისში და უშუალოდ კოლაბორაციაში მოყავთ სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო თემებთან, სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან და შესაქმნელ შემოქმედებით პროდუქტთან. შესაბამისად, კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის აქტიური გამოიყენება ხდება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ესთეტიკური აღზრდა	როგორც ინტერვიუდან დადგინდა დამატებთი რესურსები უმეტესწილად გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები, ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგთა გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები ნამდვილად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში სწავლების სამივე საფეხურზე მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მაღალ ხარისხსა და ეფექტიანობას. ძირითად რესურსებთან ერთად, როგორიცაა გრიფირებული სახელმძღვანელოები, აქტიურად გამოიყენება დამხმარე საშუალებები, მათ შორის სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინრესურსები და ტელესკოლის გაკვეთილები. ეს მრავალფეროვანი რესურსები ამდიდრებს სასწავლო გარემოს, ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	შემუშავებულ კურიკულუმში გაწერილი სპორტული სახეობების და მათ შესაბამისად დაგეგმილი სპორტული აქტივობებისთვის გამოყენებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელიც მოსწავლეთა სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას, მოტივაციის ამაღლებას და სწავლა სწავლების ეფექტიანობას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ტექნოლოგიები	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების ბანკი - ელექტრონული რესურსი school.emis.ge, ასევე სხვა ვიდეო რესურსი, რომელიც შეესაბამება შესასწავლ საკითხის, მიზანს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართულებით (ბუნებისმეტყველება, V და VI კლასები) სასწავლო რესურსად ძირითადად იყენებს გრიფირებული სახელმძღვანელოს, **სკოლას მიეცეს რჩევა:** სასწავლო რესურსებად გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი, უმჯობესია გამოყენებული იქნას ასევე ელექტონული და ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოები სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსი (რაც იყო მოცემული საბუნებისმეტყველო მიმართულების კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილებში) შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. ასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ რესურსებს, რესურსების პორტალებს და აცნობენ მათ შინაარსობრივ ნაწილს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	კათედრებზე ურთიერთშეთანხმებულად ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების არჩევა/გამოყენება კონკრეტულ თემასთან მიმართებაში. აღნიშნული რესურსები მოიცავს ასაკის მიხედვით შერჩეულ დამხმარე ლიტერატურას, მასწავლებლების მიერ წინასწარ შერჩეულ ელექტრონულ რესუსრსებს და მასწავლებლის წიგნში მითითებული დამატებითი რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში წარმოდგენილი დამხმარე რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების მიხედვით. ეესაბამება საგნების - მუსიკისა და ხელოვნების სპეციფიკას. რულ კავშირშია ამ საგნების თემებსა და საკითხებთან, სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში გაწერილი დამხმარე რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ, მისი მიზნობრიობა დასტურდება შემაჯამებელი ტესტირებებითა და დიაგნოსტიკური წერებით,

	რომლიც გამოცდილებაც აქვს სკოლას. ასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას შერჩეული რესურსების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოების, თვალსაჩინოებების, ონლაინრესურსებისა და ტელესკოლის გაკვეთილების, აქტიური გამოყენება უკვე უზრუნველყოფს მათემატიკის სასწავლო პროცესის ეფექტურობას სამივე საფეხურზე, ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებასა და განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებაზე მათ აღნიშნეს რომ კათედრაზე ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე არჩევენ დამხმარე რესურსებს. რჩევა: იმისათვის რომ დამხმარე რესურსები კიდევ უფრო მიზანმიმართულად და სინქრონულად იქნას გამოყენებული, სასურველია, მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ მათი შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. რაც გულისხმობს რესურსების **ვალიდაციის გაძლიერებას** ეს ნიშნავს, რომ ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, უნდა იყოს გულდასმით შემოწმებული და დამტკიცებული. (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, სტანდარტებსა და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. მისი გამოყენებით დაგეგმილი აქტივობები არის საინტერესო, დაძლევადი და ხელს უწყობს მოსწავლეებს თვითშეფასების ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს კონკრეტული მიზნის შესაბამის დამხმარე რესურსს. კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსი (რაც იყო მოცემული საბუნებისმეტყველო მიმართულების (ბუნებისმეტყველება, V და VI კლასები) კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილებში) შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა მთლიანობაში უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, **სკოლას მიეცეს რჩევა:** შეძლებისდაგვარად შეივსოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია საჭირო დანადგარებით, ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მოსწავლეებს თანაბრად შეუძლიათ გამოიყენონ საჭირო რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	გასაუბრებით დადგინდა რომ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა მუსიკასა და ხელოვნებაში უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ძირითადი მატერიალური რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები,

	მასწავლებლების მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით
მათემატიკა	სკოლა წარმატებით უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის სრული გათვალისწინებით, რაც ქმნის ოპტიმალურ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში და მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი პოტენციალი. სწავლა სწავლების პროცესის ხელშესაწყობად სასკოლო სივრცე, აღჭურვილია აუცილებელი მატერიალური რესურსებით
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლებისათვის კურიკულუმით განსაზღვრულია გრიფირებული სახელმძღვანელოების და ელექტრონული რესურსების გამოყენება. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის სკოლას აქვს სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევაში დამატებითი რესურსების შეუფერხებლად გამოყენების საშუალებას იძლევა. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ტექნოლოგიები	მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სკოლა მთლიანობაში უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით,

	სკოლას მიეცეს რჩევა: შეძლებისდაგვარად შეივსოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია საჭირო დანადგარებით, ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი, ცეცხლგამძლე საფარი (მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება იმუშაონ ან ინდივიდუალურად, ან ჯგუფურად); ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყოს ამწოვი კარადა და წყლის ონკანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

ვიზიტისას დადგინდა, რომ სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.სკოლაში დასაქმებულია 20 უფროსი მასწავლებელი. ერთი მოწვეული (ფიზიკის) მასწავლებელი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები

სასკოლო სასწავლო გეგმა
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
საკოლო ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

   სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩოები ყველა კლასის ყველა საგნისთვის. ასევე კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და სასწავლო წლის ბოლოს ახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

   ვიზიტის პერიოდში სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას და სასკოლო კურიკულუმის მიხედვით დადგინდა, რომ სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასებით განისაზღვრება პრობლემა და დაისახება მისი გადაჭრის გზები. სკოლამ

აღნიშნა, რომ შეფასებისა და მონოტორინგის შედეგად გამოკვეთილი პრობლემები და მიგნებები გათვალისწინებული იქნება მომავალი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**
   ვიზიტის პერიოდში სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერითა და დახმარებით. ყველა მასწავლებელთან თანამშრომლობით შექმნილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგის განხორციელებისას მკაფიოდ განისაზღვრება საჭიროებები და დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები და საშუალებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

გაკვეთილზე ურერთდასწრების ამსახველი დოკუმენტი

ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**
   როგორც სკოლის თანამშრომლებმა აღნიშნეს სკოლაში პერიოდულად იმართება კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან შეხვედრები, რომლებიც მსჯელობენ მოსწავლეების მიღწევებზე, ძლიერ და სუსტ მხარებზე და სახავენ სამომავლო გეგმებს პრობლემების აღმოსაფხვრელად. მართალია ეს შეხვედრები დოკუმენტში გაწერილი არ არის. სამომავლოდ სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა როგორც მასწავლებელთა თვითშეფასებას, ასევე მოსწავლეთა უკუკავშირებს და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფების უკუკავშირებს.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებას ახორციელებენ სხვადასხვა სიტუაციაში, იქნება ეს სასკოლო თუ არასასკოლო გარემო:, რადგან მოსწავლეთა შესწავლა სხვადასხვა კონტექსტში აუცილებელია სრულყოფილი შეფასებისათვის. სკოლაში ეს ხორციელდება სხვადასხვა ფორმებით: (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა,და სხვა).

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემების მიზნობრივ შეგროვებას და ამ მონაცემების ანალიზს. მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას დადასტურდა,რომ სკოლაში მნიშვნელოვანია მოსწავლის შეფასებისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების შესწავლა და გათვალისწინება. შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი,

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ურიკულუმები

ვერიფიკაციის მექანიზმი

შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
1. სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ სკოლაში შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის, სადაც გათვალისწინებული იქნება დაგროვილი გამოცდილება, SWOT ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილის, დავალებების, პროექტის რეფლექსიები. კათედრები შეიმუშავებენ ახალ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმში.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

   სკოლაში 2024-2025 სასწავლო წლისათვის შედგენილი იყო ყველა საგნის კურიკულუმი . სკოლის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან მეთოდოლოგიის შესაბამისად განხორციელდება მონიტორინგი და მოხდება მიღებული შედეგების შეფასება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: